

გაზეთის ღირსი:			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაურა.

ივერი

გაზეთის დასაყვებად და კერძო განცხადებებზე დასაბეჭდად უნდა მიჰმართოს: თბილისი რედაქციის, ახალ-ბუბუღის ქუჩაზე, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს ზღვრის წიგნების მაღაზიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 ივნისსიდან წლის დამლევაძლე ღირს 6 მან. 50 კაპ.

თბილისი, 13 ივნისსი

გუშინ დევეშამ მოგვიტანა ამბავი, რომ საფრანგეთის სენატმა 141 ის უმეტესობით წინააღმდეგ 107 სა შეიწყინა კანონ-პროექტი პრინციპის განდევნის საფრანგეთიდან და დღეს გრაფი პარიეელი, რომელიც თავის თავს საფრანგეთის საგარეო ტახტის მემკვიდრეთა სოფლის და ქვემო ბონაპარტი, რომელიც საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეობას ჰქმნის, თავისი ცოლ-შვილით უნდა გაიხიზნენ საფრანგეთის სამფლობელოთაგან, დანარჩენის პრინციპის უფროს საფრანგეთში, ახლის კანონის ძალით, სამინისტროს ნებაზე მიჩემებული. ამას იქით საკმაო იქნება ერთი მარტივი ბანება სამინისტროსი, რომ ეს დანარჩენი პრინციპიც გააძეოს საფრანგეთიდან.

„მიწა-წყალი რესპუბლიკისაო, ნათქვამი კამისის პროექტში: განთავისუფლებულ იქნება იმათგან და იმის სახლობისაგანაო, ვინც უფროსი კაცია იმ ოჯახებში, რომელთა გვარსაც ოდესმე უმეტესით საფრანგეთშია.“

აი რა ჰქონია აზრად საფრანგეთის მთავრობასა, როცა ამ საგნისათვის ხელი წაუჭიდნია. რამ აი-

ძულა რესპუბლიკა, რომ ასეთი საქმე ჩადინა, რომელიც არ ეშვება რესპუბლიკურს განწყობილებასა და რომელიც წინააღმდეგა საზოგადო დედა-აზრისა იმ მხრით, რომ ყველა მამულიშვილს, თუ დიდი დანაშაული არ ჩადენია, ნება აქვს თავის ქვეყანაში ცხოვრებისა და უფროსისა და ეს ნება ერთი უპირველესი მოქალაქეობისა და ზნეობის კუთვნილებაა უოველის ცალკე ადამიანისა, უოველის მამულის-შვილისა?

ამის პასუხის საგებლად საჭიროა ვიცოდეთ, რომ დღეს საფრანგეთში ორი გვარეულობაა, რომელთაც ოდესმე უმეტესით საფრანგეთში: ერთი ორლეანისა და მეორე ბონაპარტისა. პირველის წარმომადგენელი დღეს გრაფი პარიეელი და მეორისა ქვემო ბონაპარტი. ერთი გვარეულობა კოროლობას ეძიებს საფრანგეთში და მეორე იმპერატორობას და ორივენი კი ერთმანეთის მოკამათენი, მოცილენი და მოპირდაპირენი არიან. რა თქმა უნდა, რომ ორივენი ცდილობენ რესპუბლიკა დაამხონ და მონარხია დააფუძნონ საფრანგეთში. მონარხის მომხრე დასი საკმაოდ თვალ-საჩინოა საფრანგეთში, მაგრამ მისდა საუბედუროდ და რესპუბლიკის საბედნიეროდ, იგი დასი ორად არის გაყოფილი ასე, რომ თავის დღეში ერთმანეთს მხარს არ მისცემენ, თუმცა ორივეს ერთნაირად სძულთ რესპუბლიკა და არც ერთი არა-დონისძიებს არ ერიდება,

რომ რესპუბლიკას ხალხში სახელი და აზრე გაუტეოს და ორმო გაუთხაროს. ერთი ნაწილი მონარხიელებისა ნაპოლეონ ბონაპარტის გვარეულობას აძლევს მხარსა და მეორე ორლეანების გვარეულობას. ამ დასებს არამც თუ მარტო სხვა-და-სხვა კაცები ჰყავთ საფრანგეთის ტახტზე და ასევე, არამედ თვით დედა-აზრითაც სხვა-და-სხვაობენ და სულ სხვა-და-სხვა გზით ჰპირდებიან საფრანგეთს ბედნიერებასა და მის ცხოვრებას საგარეოს, თუ საშინაოს სხვა-და-სხვა საფუძველს უდებენ.

დღეს აქამომდე მეთაურნი ამ ორის გვარეულობისანი დიდის სიფრთხილით იქცეოდნენ, რომ არავინ არავითარი აზრი არ აიღოს მათზე და რესპუბლიკის წინააღმდეგი მოქმედება არ შესწამონ. ამ ბოლოს ხანებში კი მეტად გაკანდიდნენ და თითქმის ადარაფრის რიდი არა ჰქონდათ. მაგალითებრ, გრაფი პარიეელი ისე იქცეოდა, თითქო მართლა კოროლი იყო და თავისი საკუთარი სამართველო ჰქონდა. იგი გულახდილად და პირდაპირ იძინოდა, რომ მე გრაფის შამბორის შემდეგ ერთად-ერთი მემკვიდრე ვარო საფრანგეთის საგარეო ტახტისა და, მინდა თუ არ მინდა, ამ გარემოებას ძალაუწებურად უნდა დავემორჩილოვო და ჩემი თავი ტახტის მემკვიდრედ უნდა გამოვაცხადოვო. მთელმა ოპოზიციამ, ყველამ, ვისაც კი რაიმე სამდურავი მიუძღვის რესპუბლიკის მიმართ, გრაფი პარიეელის გარს მოიყა-

რა თავი. რაც მონარხიული კამიტუტებია საფრანგეთში ყველანი გრაფი პარიეელს ეკითხებოდნენ და ბანებისათვის მის მიჰმართავდნენ ხოლმე, მთელს ქურნალ-გაზეთობას, რომელთაც თვალში არ მოსდით რესპუბლიკა, გრაფი პარიეელზედ ეჭირა თვალი და მისგან მოელოდებოდნენ ბანებას და დარიგებას. ეს კიდევ არაფერი: გრაფის პარიეელის სახლი სწორედ სამეფო კარი შეიქმნა, თითქო საფრანგეთში, რესპუბლიკის გარდა, სხვა მეორე მართებლობაც იყო. საქმე იქამდის მივიდა, რომ სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ვალდებულად ჰქნებოდნენ თავიანთ თავს მისვლას მოსვლა ჰქონოდათ ამ მეორე მთავრობასთან.

მთავარ-მინისტრმა საფრანგეთისამ ჭრეისინემ კარგა გარკვევით აუხსნა ეს გარემოება დეპუტატთა შაბატს. აი რა უთქვამს ამ საგანზედ ბ-ნს ჭრეისენს: „უოველივე გულ-დაძღვარი მთავრობა, რომელსაც კი აზრად აქვს პარტიკულური იყოს შინა და გარედ, ერთს წუთსაც მიზეზს არ მისცემს არავის იფიქროს, რომ იგი მთავრობა არ არსებობს. ჩვენ ვერ ავიტანთ, რომ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ხან მართლ მთავრობასთან ეჭიროთ საქმე, ხან იმისთანასთან, რომელიც მთავრობის სახელს ტუქილად ჰქმნის. საჭიროა, რომ შინ კაცი თავის თავს არა ჰკითხავდეს, გარდა არსებულის მთავრობისა, არის რაიმე სხვა მთავრობაცა თუარა; საჭი-

როა, რომ არსებულს მთავრობაზედ გარედ არა სთქვან: თავისი თავის იმედი არა აქვს, მკვიდრად არა სდგასო. აი ჩვენის კანონის დედა-მიზეზი ჩვენ სამართლიანი გვგონია იგი ისტორიულად და ფილოსოფიურადაც. ჩვენ ეგ კანონი აუცილებელ საჭიროებად მიგვჩინა არა იმიტომ-რომ მემკვიდრეობის მემკვიდრე ვითომც აპირებდნენ ძალე-მომრეობითი არეულობა მოახდინონ, არამედ იმიტომ-რომ განუწყვეტელი მცადინეობა არსებობს სახელი და აზრე გაუტეონ არსებულს სახელმწიფო წყობილებას. აქ ჩვენ ჯანში გამჯდარს სწეულებასთან გვაქვს საქმე და ამას ბოლო უნდა მოეღოს.“

აი რა იყო მიზეზი პრინციპის განდევნისა: საფრანგეთს შინაური მშვიდობიანობა უნდა, ჰსურს შინ მოსვენებული იყოს, პრინციპი კი ამ მოსვენებას არ აძლევდნენ და თავისას არ იშლიდნენ. ჭრეისინეს წინააღმდეგ ილაპარაკა მონარქიელმა დეპუტატმა დემენმა დიდის მჭევრ-მეტყველობით, მაგრამ საქმეს მინც ვერა უშველა-რა. დემენის სიტყვა ცალკეა დღეს ჩვენს გაზეთში მოყვანილი.

ახალი ამბავი

* * * ლალიეის საქმე ამ თვისი ივნისის 16 გაიჩნევა თბილისის სამხედრო ოლქის სასამართლოში. თვით ლალიეის თხოვნით და აგრეთვე სა-

ფელეტონი

უცხოთა შორის

უცხოთა შორის ყველიების კონა.— ბერლინის ქურდ-ავაზაკები.— ქურდები „გლენი-ფლაპიბი“ და ქურდები „მეგდარი-ფლაპიბი“. — ახალი სასწავლო-მოქმედება ჰინოტობისა.— ტუელი ვალის-ამლეი და ტუელი ქმრის-მომწამლაჯი. — პასტერი და მისი „უგვაჯი“ მოწინააღმდეგე.

იქნება მკითხველს ეგონოს, რომ მე აქ მართლა ნამდვილის ყველიების კონაზე მინდოდეს ლაპარაკი, იმ კონაზე, რომელიც ადამიანის თვალს ამხიარულებს, ყნოსავს ატკობს და გრძობას იტაცებს? არა, სულ სხვა გვარია ის ყველიების კონა, რომელზედაც მე აქ ლაპარაკს ვაპირებ. ეს კონა გულის ამტკებელი და გრძობის მომხილავი თაიგული კი არ არის, პირ-იქით ისეთი საზიზღარი რამ არის, რომ ყველას შეაძრწუნებს და მშარედ დააფიქრებს, ვისაც კი გრძობა არ დაჰშვია. ეს უცნაური თაიგული შედგენილია იმ საუცხოვრო ყველიებისაგან, რომელსაც ყველ-წლიე უნდა ჰკრავს სისხლის

სამართალი. ეს ყველიები მშენიერად ჰხარობენ იმ ნიადაგზე, რომელსაც ყოველ დიდს ქალაქში შეჭვდება კაცი და რომელსაც განათლების, ცივილიზაციის ნაღვესა და ნაძირალს უწოდებენ. — ეს ყველიები ქურდობა და ავაზაკობაა.

ცოცხა არ იყო სათაკლო და შეუფერებელია ამ გვარ არა-პოეტურ საქმეებისთვის ასეთი პოეტური სახელ-წოდება, როგორც თაიგული, მაგრამ ეს სახელ-წოდება ჩემგან არ არის მოგონილი. ეს შედარება სრულიად და შეუცილებლად იმ ავტორის ფანტაზიას ეკუთვნის, რომელმაც ამ მოკლე ხანში ერთი დიდის ყურადღების ღირსი წიგნი დაბეჭდა ამ სათაურით: „ქურდ-ავაზაკობის და ავ-კაცობის სამფლობელო ბერლინში“.

გერმანიის სატახტო ქალაქ ბერლინში დიდი სამზღვარი ჰქონია ამ უცნაურ სამფლობელოს. ზემოხსენებული ავტორი გვარწმუნებს, რომ ამ სამფლობელოში 30,000-ზე მეტი ერთგული ქვეშევრდომი ითვლებაო, ესე იგი, ავი და მანებელი კაცი ყოველის კარგად-მოწყობილ საზოგადოებისთვისა, ამათში უმეტესი ნაწი-

ლი—ქურდები ყოფილან, სხვა-და-სხვა ავაზაკები-კი და კაცის-მკლავლები უფრო ნაკლებად არიან თურმე. ამ თავისებურ და არა-სასურველ მოქალაქეთა ისეც დიდს და საგრძობელ რიცხვს უნდა მივმაცოს კიდევ 25,000 ცუდის ყოფა-ქცევის ქალ-დედაკაცი, რომელნიც ზემოხსენებულ მოქალაქეთა ერთგულ თანამოაზრედ და ხელის-შემწყობლად ითვლებიან. მხოლოდ ამათის წყალობით ადიდდა ახერხებენ და ასრულებენ თავიანთ ძნელს და ფათურაკით და განსაცდელით სავსე თანამდებობას ზემოდ სხენებულნი საზოგადოების მოღვაწენი. ავტორი ღარწმუნებით ამბობს, რომ ბერლინის ქურდებსა და ცუდის ყოფა-ქცევის ქალებს ხელი-ხელსა აქვთ გადაბმულიო. ეს უკანასკნელი რომ ხელს არ უწყობდნენ და მხარს არ აძლევდნენ, ბერლინში ქურდები არც ისე ბლომად და არც ისე საშიშარნი იქნებოდნენ, როგორც ესლა ვხედავთო. ეს პარტიკულური ქალები ძალიან კეთილ-სინილისიანად ასრულებენ თურმე თავიანთ სამსახურს. ათას-გვარ საშუალებასა ჰხმარობენ, რომ მსხვერპლი როგორმე მიიტყუონ და

თავიანთ ბაღში გააბან. ბაღში, რასაკვირველია, უმეტესს ნაწილად, ან უმეტესად, ან გატაცებით ქალების მოყვარული კაცი გაგებმის ხოლმე. თუ კი გაება—მშვიდობით ჯიბეც და ქისავ. ამას კიდევ არა უშავს-რა: დიდი მადლობა უნდა შესწიროს თავის დამბადებელსა, რომ თავი ცოცხალი გამოიტანოს.

ისე საშინლად არის თურმე გავრცელებული ბერლინში ქურდობა, რომ მკირე-წლოვანებიც კი მისდევნენ ამ საზარელ და სამარცხნო ხელობასა. იშვიათი ამბავი არ არის ბერლინში, რომ 8—10 წლის ბავში ზედ ქურდობაზედ დაეჭიროთ.

* *

ბერლინის ქურდს ვერც ერთი ქურდი ვერ შედრება, მთელ ევროპაში სწორი და ცალი არა ჰყავს თურმე. ბერლინის ქურდი — არტისტია თავის საქმეში. ისე ოსტატურად აქვს თავის ხელობა შესწავლილი, ხშირად ისეთს გამჭიარებას, გამბედაობასა და ხერხს იჩენს, რომ მთელი ბერლინი განციფრებაში მოჰყავს. მთელი ბერლინი შეძრწუნებულია ამთგან. მდღერების და დიდ-კაცების სა-

ხლები ციხე-გალანებლად არის გარდაქცული. ყველა კარებს სქელი რკინა აქვს გადაკრული, ყველა ოთახებში ელექტრონული ზარებია გაყვანილი. ეს ზარები ისეა მოწყობილი, რომ თუ რომელიმე გარედამ შემოსავალი კარები გაიღება, მაშინვე ერთს საშინელს წაკარა-წყურს ასეტებენ და სახლში ყველას ფეხზე წამოაყენებენ. ხოლო ბერლინის ქურდებს, როგორც ეტყობა, ვერც რკინა იჭერს და ვერც ელექტრონული ზარები აშინებს. ამ უკანასკნელ დროს რამდენიმე დიდ-კაცის სახლები გასეტებენ და ვაჭურდეს, თუმცა ეს სახლები ციხეებივით იყო გამაგრებული. ბერლინის ქურდების გამბედაობამ და თავ-გასულობამ იქამდინ მიადწია, რომ ამ მოკლე ხანში თვით შინაგან საქმეთა მინისტრის, ფონ-პუტკამერის სახლსაც კი დაეცნენ თურმე.

* *

ბერლინის ქურდები ძალიან მოხერხებული და გამომგონი ხალხი ყოფილა. ყველანი ერთ ნაირად კი არ ქურდობენ; ესენი ათას-გვარად ასხევერებენ თავიანთ ხელობასა. ზოგი ჩუმად ქურდობს, ზოგი აშკარად, ზო-

სამართლოს გარდაწყვეტილებით და-
ლივეს დაიკავს ნათელი ვეჭილი ტურ-
კეიჩი.

* * ტფილისში მეტის-მეტე ცხე-
ლი დღეები დღეა. სიცხეების დროს
დიდი მწიფელობა აქვს ქუჩების
მორწყვას. ჩვენ და საუბედურად, ქა-
ლაქში მარტო უმთავრესს—გოლო-
ვინის ქუჩას ჰრწყვენ. დიდის მადლო-
ბის ღირსი იქნებოდა ქალაქის გამ-
გეობა, თუ წყალს არ დაიშურებდეს
და ზოგიერთ სხვა ქუჩებსაც მოარ-
წყვენიდეს.

* * წყლის გასაყვანი მილები, რომ-
ელიც ქალაქის გამგეობამ შეუკვე-
თა ბელგიაში და ინჟინერი კონრადი
გაგზავნა მათ მისაღებად, უკვე მზად
არის და ამ 20 ივნისს ტფილისში
გამოგზავნიანო.

* * ალგოლოგის სახლები, რომელ-
შიაც ამ ჟამად იმყოფება მეროვ კლა-
სიკური გემნაზია ისეთ მდგომარეო-
ბაშია თურმე, რომ იქ დგომა არ
შეიძლება, ხის მასალა სულ დამა-
ლა, არც ჰიგიენურად წარმოადგენს
კარგად მოწყობილსა და ეს ცუდად
მოქმედებს მოსწავლეების ჯან-მრთე-
ლობაზედა. ზემოხსენებულ მიზეზთა
გამო გემნაზიის დირექტორს ქალაქის
გამგეობისათვის უთხოვნია, რომ მან
გაგზავნოს ქალაქის ინჟინერი გასა-
შინჯავად და იმის გამოსარკვევად:
თუ რა გვარი გადაკეთება სჭირდება
სადგომსაო.

* * სიცხეების გამო მთელი ქალა-
ქის ხალხი ეტანება მტკვარს და ციეს
წყალში ბანაობს გასაგრილებლად.
კიდევ კარგი, რომელთაც ცურვა
იციან და არა უჭირთ რა თუნდ შუა
წალშიაც შეიძენენ, მაგრამ ცურვის
მკოდნეთა ცქერით წახალისებულნი
ისინიც ბანაობენ, რომელთაც ცურ-
ვა არ იციან, უმეტესად პატარა ბი-
ჭები, სკოლისა და გემნაზიების მოს-
წავლენი და ხშირად წყლის მსხვერპ-
ლნი ჰხდებიან. კარგი იქნებოდა, ქა-
ლაქის გამგეობას მიექცია ამისთვის
ყურადღება და როგორც წარსულ
წლებში იყო, დანიშნოს პოლიციე-
ლები, რომ ბანაობა დაუშალონ. ისევ

გი მოტყუებით. მეტადრე შესანიშნა-
ვია ორი გვარი ქურდობა: ერთს ეძა-
ხიან «გლეხი-ყლაპიობას», მეო-
რეს—«მკვდარი-ყლაპიობას».

«გლეხი-ყლაპიობა» სოფლიდამ და
პროვინციებიდამ ჩამოსულ ხალხს ეტა-
ნებთან, ბატყუბენ და სცარცვენ, ამი-
ტომაც ესეთი სახელი უწოდებიათ
თავიანთ თავისთვის. თითქმის ყოველ
პროვინციულ-ნემეს ჩვეულებადა აქვს,
რომ, როცა კი ბერლინი ყოფნა
მოუხდება, უთუოდ უნახავად არ დას-
ტოვებს საკაროლო მოედანს, სადაც
გერმანიის ჯარის გამარჯვების სასო-
ვრად ოქროთი შევარაყებული ძეგ-
ლია. «გლეხი-ყლაპიობა» ეს კარგად
იციან და ამიტომ ყოველ დღე ამ მო-
ედანზე და რკინის გზის სადგურებზე
დაფუსფუსობენ. ნიშანში ამოიღებენ
თუ არა თავიანთ საკბილო კაცსა,
მაშინვე გამოელაპარაკებიან, გაუმე-
გობრდებიან, მიიპატიებენ სადმე ღუ-
ქანში ან სასტუმროში, ან კიდევ
ზღლიობიანად ჰკითხვენ, ხომ ბერლი-
ნის შესანიშნავის ადგილების ნახვა
არა გასურთო, და თუ საკბილომ
თანხმობა გამოაცხადა, გლეხი-ყლა-
პია მაშინვე თავიანთად სთხოვს, რომ
ნება მომეცია, სამსახური გაგიწიო

სჯობია იარონ ბანაობისათვის ცალ-
კვდ გამართულ საბანაოში, სადაც
არც ღირსობის შიშია და არც დიდი
გაღასახალი დანიშნული.

* * ქალაქის სანიტარულმა კომი-
სიამ უკვე მიჰყო ხელი ხორაგის გა-
სინჯვას. განსაკუთრებით ყურადღე-
ბა ექცევა ხორცს, რომელსაც იმ წამს-
ვე აყრევენ, თუ ცოტადაც სუნ
მოკიდებული აღმოჩნდა. სინჯავენ აგ-
რეთვე მწვანის, ხილეულობას და
სხვათა.

* * 12 ივნისს, პოლიციის 9 ნაწილში,
გარის მახრის სოფ. ფოსნოს მცხოვრებელ
გლეხს სვიმონ კობაძეს უბანავნია მტკვარში
და დამარხვალა. დამარხვალის გვაში გერ
იპოვნეს.

* * 12-სავე ივნისს, პოლიციის 2 ნა-
წილში, ახნაურ ნიკოლოზ ტურ-ლუკასოვის
სახლებთან მიუგდიათ ყმაწვილი-გაუი ახა-
ლად დახადებული. ყმაწვილი სახეობა ინ-
სტიტუტშია გაგზავნილი.

* * იმავე დღეს, პოლიციის 3 ნაწილში,
კოლესკის ასესორის ათანასე ივანეს ძე
ბუდკოვის ქალს—რაისას ორის წლისას
გაუფრთხილებლობით კარბოლის სიმყავე
დაუღებია და ამით მომკვდარა. გამოიყუ-
ბა სწარმოებს.

* * ერთს ბაქოს სასტუმროში შემ-
დგი სანადლო დაუღვიათ ვიღაც ხაჩი
ს—ეს და მის ამხანაგს მარტორას
ა—მს ერთმანერთში. ს—ვი დანაძ-
ლებია, რომ ხუთ გირვანქა უმს ხორცს
და ორ უმ ბატს შეეკამო და ორ ღუ-
ყინ სტაქან ჰივას დავლეო. დანაძ-
ლევენ და მართლაც შესასრულა
დანაძირი. ჩვენ დარწმუნებულნი ვარ-
თო, ამბობს ამის შესახებ ვაზ. «ჩა-
მი», პეტერბურგის ზოოლოგიურის
ბალის პატრონს ბ-ნს როსტს რომ
გავგო, თუ ამისთანა საოცარ ბუნ-
ების კაცი ბაქოში არსებობს, მიიწვე-
და და საქმა ჯილდოსაც დაპირდ-
ბოდა, ოღონდ ყაფანაში ჩაესვა მზე-
ცებთან ერთად და ხალხისთვის ეჩე-
ნებინა. ბ-ნი როსტი, რასაკვირველია,
ბატებს არ დაპოვავდა და მუშტარტი
ბერი ეყოლებოდა ამ საოცარის სა-
ნახავისაო.

* * ამავე გზეთის სიტყვით, წარ-
სულს თთვეში ბაქოში მივიდა გვით

და ყველა ადგილები დაგატაროვო. სა-
წყალ პროვინციულს ფიქრადაც არ
მოსდის, რომ ბატყილებენ, და სია-
მოვენით მისდევს. «გლეხი-ყლაპიობა»
შეათრევს სადმე მიკრუბულს ადგი-
ლას, სადაც მისთანავე «გლეხი-ყლა-
პიობა» წინაღვე მომზადებული არიან.
მოტყუებულ პროვინციულს ჰყველენ
და ოთხვე მხარეს ისტუმრებენ.—
«გლეხი-ყლაპიობა» ყოველთვის კარ-
გად, მდიდრულად არიან ჩაცმულნი,
ზღლიობიანი, კეთილ-შობილური მი-
ხერა-მოხერა და ყოფა-ქცევა აქეთ,
ასე რომ კაცი, მეტადრე ახლდა მო-
სული ბერლინიში, ძნელად მიჰხედება,
თუ ამისთანა კეთილ-შობილი კაცი—
ქურდი და მატყუარა იქნება.

«მკვდარი-ყლაპიობა» უფრო ფარ-
თო ასპარეზი აქეთ სამოქმედოდ, ვიდ-
რე «გლეხი-ყლაპიობა». «მკვდარი-
ყლაპიობა» მძინარე ხალხსა სცარც-
ვენ. ბერლინის ქურდები თავიანთ
ქურდულ ენაზე მძინარე კაცს მკვდარს
ეძახიან. ამიტომ მძინარე კაცის მცარ-
ცველ ქურდს «მკვდარი-ყლაპია» დაარ-
ქვს.

ბერლინიში, როგორც სხვა ქალა-
ქებშიაც, ყოველს ბულვარზე, ყო-
ველ საზოგადო ბაღში სკამებია გა-

ვიღაცა დანიელოვი, როდესაც გემი
ნათ-სადგურში შევიდა და დანიელო-
მა გადებულ ფიცის ხილზედ გასვლა
დაიწყო ნაპირზე, უტყრივ ფეხი წაუს-
ხლტა და თავდა-ყირა ზღვაში ჩავარ-
და. უეჭველად დირჩობოდა, თუ არ
გამოჩენილიყო ვიღაც გულადი მამაჯა-
ნოვი, რომელიც ერთს წუთს ჩავარ-
და და ამოიყვანა ზღვაში ჩავარდი-
ლი. დანიელოვი ამ თავ-განწირულე-
ბით ისე იყო გულ-მოგებული, რომ
მაშინვე ამოიღო ჯიბიდან მთელი
დასტა ფულებისა—200 მანათამდე და
თავის დამხსნელ გადაუთვალა... მარ-
ტო ცამეტი მანათიო.

* * ბ-ნი ალექსანდრე მაისურაძე
გეთხოვს, რომ შემდეგი წერილი დაუ-
ბეჭდოთ:

«თავად ივანე ორბელიანის მოუ-
რავს დავით ამირიძეს აქვს ქართულ
ხელ-ნაწერების ბიბლიოთეკა. მე მი-
ნდა ამ წიგნების სია შემეღებინა და
გამომეცხადებინა, მაგრამ ამირიძის
ავად-მყოფობის გამო ვერ მომიხდა
საწადელი. ერთხელ ექვთიმე ხელაძემ
მკითხა, როსტომიანი ხომ არსად გე-
ვუღებო? მე წაიყვანე ხელაძე და
ი. ჭყონია ამირიძესთან, რომელმაც
ჩემის თხოვნით ორი წიგნი—ბარამი-
ნი და როსტომიანი ლექსად თქმული
ათხოვა, ერთის წლის შემდეგ როს-
ტომიანი ჩავაბარე ამირიძეს და ბარა-
მიანი კი ილია ჭყონიას წაუღია იმე-
რეთში, როგორც ბ-ნი ხელაძე იმოწ-
მება. ნეტა რა ნება ჰქონდა სხვისი
საქონლის სხვაგან წაღებისა?—ბ-ნი
ჭყონიასა ესთხოვ, რომ ან ხელ-ნაწე-
რი დაუბრუნოს პატრონს და ან და-
ბეჭდოს და მოურავის საყვედურს
მომამოროს.

ესეც კია, რომ თუმცა ბ-ნი ხელა-
ძე გვარწმუნებს, მაგრამ ნამდვილად
არ ვიცი, ჭყონიამ წაიღო კი ის წიგ-
ნი იმერეთში, თუ არა? დიდი მკვი
მაქვს და ექვს უფრო მიცხოველებს
ის გარემოება, რომ ხელაძემ ერთხელ
გადმოიღო ხელ-ნაწერი ბეჟანიანი და
მე მომცა, აი თქვენი ხელ-ნაწერიო.
ნუთუ ბ-ნი ხელაძე ბეჟანიანს და ბა-
რამიანს ვერ არჩევს ერთმანეთში: ბა-
რამიანი კახის მდივნის ონანისაგან
არის შეთხზული და ბეჟანიანი კი

მართული, სადაც სიარულით დაღ-
ლილი ხალხი ისვენებს. დასვენების
დროს, რასაკვირველია, ხშირად დაე-
ძინებთ კიდევ. მაშინვე, საიდანაც
არა მგონია, გაჩნდებიან «მკვდარი-
ყლაპიობა», ამართმევენ ჯიბიდან
ქისას, ჰხსნიან საათს, ძვირფასს ნი-
ვებს,—ერთის სიტყვით, ყველაფერს,
რაც კი მძინარე კაცს თვალ-საჩინო
რამე ახალია ზედ,—და გაჰქრებიან.

მაგრამ თითონ «მკვდარი-ყლაპი-
ობა» ხშირად გაგებმებიან ხოლმე ხა-
ფანგში. ბერლინის გაზეთებში თითქ-
მის ყოველ დღე ვგზავნება კაცი ამ გვარ
ცნობასა: «პოლიციას ესა-და-ეს «მკვდარ-
ი-ყლაპია» ხელში ჩაუვარდა » პო-
ლიცია ძალიან ადვილ ხერხსა ხმა-
რობს ამათ დასაქვრად. შეცვლილ
ტანისამოსით პოლიციის მოხელე სად-
მე სკამზე ჯდება და განგებ თავს მო-
იმძინარუნებს ხოლმე. აი გამოჩნდა
«მკვდარი-ყლაპია» და თავის საქმეს
შეუღდა,—ამ დროს თავ-მომძინარე-
ბული პოლიციელი სტაცებს ხელსა
და იქერს.

* *
დღეს მეცნიერები ბერს ლაპარა-
კობენ და დიდს ყურადღებას აქცევენ
იმ უცნაურ მოვლენას, რომელსაც

როსტომიანიდან არის ამოღებული,
საიდან სადაო. გაზეთის საშუალები-
თა ეთხოვ ბ-ნ ხელაძეს, რომ ამავეს თა-
ვი დაანებოს და დაუბრუნოს პატრონს
ხელ-ნაწერი».

ნაკვეთი

მევე ერეკლესთან მივიდა ერთი ვიღაც
პასათაშვილი და მისს კარი-გაცს ყოფდა-
ნაგს უჩავდა.

ასანძიის გიმიმა მასუსდა ეს ამბავი
უთხრა: ერთს საშინელს ზამთარს, თოვ-
ლით სასე სეკში გადავარდა ვიღაც ყო-
რანოვი და ჩაიხრავა. როცა იმისა გვა-
მი განისწვნა, მგლეხს სუნი მოეღინათ
და ათიადე მგელი მიესია. ახლა რომ
მივადნენ, ერთმა მგელმა შეაჩერა სხვა
მგლები და უთხრა: შესადქით, ეს ყო-
რანოვი ყოფილა და ჩვენ კვრას დავა-
ლებთ... შე, დალოცვილო, და:მატა
ამ ანაკს მეფემ, თუ ათმა მგელმა მგელად
ყოფილანაკს კვრას დააჯლო-რა, მე რა უნ-
და დაგავლო ცოცხალ ყორღანოვსაო.

ნარკვეთი

გაზეთი «Московскія Вѣдомости»-ს
ყურადღებას დღეს ირლანდიის
საქმეს მიუძღვრია. გაზეთს მთელი
მეთაური წერილი ამ საქმისთვის
შეუწირავს. ჩვენ მოგვყავს ამ წე-
რილიდამ მხოლოდ შესანიშნავი
ადგილები. აქაც თავის ჩვეულო-
ბას გაზეთი არ იშლის და ასე
უცნაურად იწყებს თავის წერილ-
სა:

რა ამბავი მოხდება ესლა ინგლისში?
როგორი მოვრობა შესდგება, რომელი
დასი გამარჯვებს? თვით ირლანდიაში
როგორ შეჰხედვენ იმ ამბავსა, რომ გლა-
სტონმა პარლამენტში ვერ გაიმარჯვა და
თავის კანონ-პროექტი ვერ გაატარა? მე-
ტი არ იქნება ყველა ეს ვიციოსოთ, რა-
დგანაც ამბობენ, რომ ჩვენი ფინანსები
პოლიტიკაზე, სახელმწიფოების არეულო-
ბაზეა დამოკიდებული. ამიტომ ესლა

ჰიზოტობას უწოდებენ. ეს უცნაური
ძალა ყველას აკვირებს თავის უც-
ნაურობით, სასწაულ-მოქმედებით. ექ-
ვი არ არის, რომ ეს ძალა დღეს თუ
ხვალ დიდს ცვლილებას მოახდენს კა-
ცობრიობის ცხოვრებაში. ეს ერთის
მხრივ თუ სასიხარულოა, მეორეს
მხრივ დასაფიქრებელიც არის. შერს
მტერს, თუ ეს ძალა იმისთანა ხალხს
ჩაუვარდათ ხელში, როგორც მავა-
ლითად ბერლინის ქურდ-მატყუარები
არიან. ესენი, რასაკვირველია, კაცობ-
რიობის სიკეთეზე არ იფიქრებენ,—
პირ-იქით ესენი უფრო იმას ეცდ-
ებიან, რომ კაცობრიობა უფრო ხერ-
ხიანად და ადვილად აწამონ. ამასა
შიშობს ბერი. ასევე უყურებს საქ-
მეს საფრანგეთის ერთი მსწავლელი,
სახელად ლიეჟუ, რომელსაც ამ ცო-
ტა ხნებში დაუბეჭდია ერთი წიგნი
ამ გვარის სათაურით, «ჰიზოტობის
მოქმედება სასამართლოში». ამ მსწავ-
ლელს თითონ უცდია ეს ძალა თავის
ნაცნობებზე და გაკვირვებით ამ-
ბობს: უცნაურად მოქმედობს ეს ძა-
ლა კაცებდა, საოცრად სცელის კა-
ცის ბუნებასაო. ყველას არა აქვს ეს
ძალა მიჩნეული და ვისაც კი ამისი
უნარი აქვს, იმას ისე შეუძლიან მო-

ყველანი უნდა დაგვიქრდეთ და ყურად-
ღებით თვალი ვადევნოთ: როგორ იმოქ-
მედებს გლადსტონის დამარცხება ჩვე-
ნის სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალ-
ზეო...

ხუმრობს გაზეთი, თუ სხვა აზ-
რით ამბობს ამას, არ ვიციოთ, მხო-
ლოდ თითონვე კი ამბობს ზემოდ
მოყვანილ სიტყვების შემდეგ: ხუმ-
რობას თავი დავანებოთ და საქ-
მეს დავუბრუნდეთო.

გაზეთი ჰირველად ყურადღებას
აქცევს იმ სიტყვას, რომელიც
გლადსტონმა წარმოსთქვა იმ სა-
დამოს, როდესაც მისი კანონ-პრო-
ექტი უარ-ყოფილ იქმნა. აი რა
სიტყვით მიუძღვრავს გლადსტონს
პარლამენტისთვის.

ირლანდია თქვენ წინაშე დგას და
თქვენ გარდაწყვეტილებას მოეღოს. ირ-
ლანდიის თქვენი იმედი აქვს, თქვენზე
აქვს თვალი მოპრობილი. ირლანდია
გთხოვთ, წარსული დაგვიყვას მისცეთ,
იცოდეთ, რომ ამ დაგვიყვას ჩვენთვის უფ-
რო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე
თვით ირლანდიისთვის. ბ-ნი გოშენი,
ელიზბურგის წარმომადგენელი, გვთხოვს არ
გადუხვიოთ იმ გზას, რომელსაც ჩვენი
წინაპრნი ადგენენ. რა გზაა ეს გზა?
აი შემოიარეთ მთელი ქვეყანა, გადასინ-
ჯეთ მიწის ქვეყნის ლიტერატურა, გა-
დაათვალიერეთ მთელი ურნალ-გაზეთობა
და მიჩვენეთ თუ გინდ ერთი წიგნი, მი-
პოვეთ ერთი გაზეთი, სადაც არა ჰკიც-
ხადენ, არ ამაგებდენ ინგლისსა, რომ
იგი ცუდად, უდიურად ემეცვა ირლანდი-
ასაო. იმას ხომ არ გვიჩვენებ, ის ხომ
არ უნდათ, რომ ამ სამარცხენო გზას
არ გადუხვიოთ, არა ეს ისეთი ლაქაა,
რომელიც უნდა ვეცდნენ, რაც შეიძლე-
ბა ჩქარა მოვიშროთ. გთხოვთ, გემუ-
დარებით, კარგად მოიფიქროთ ამ საქმე-
ზე, ვიდრე ჩემს კანონ-პროექტს უარსა
ჰუბდეთ. მეწმისზე უნდა იფიქროთ და
არა აწინდელზეო.

როგორც იციან ჩვენმა მკითხვე-
ლებმა, გლადსტონმა ვერ გაიმარ-
ჯვა, ამისი კანონ-პროექტი არ
მიიღო პარლამენტმა. ესლა ხელ-
ახლად დაიწყო არჩევანები და გა-
ცხარებული ბრძოლა დასებს შუა.
ვინ დამარცხდება და ვინ გაი-
მარჯვებს ამ ბრძოლაში წინადვე
ძნელი ამის თქმაო, ამბობს გაზე-
თი «Москов. Вѣдомости»; ესლა
მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლიან,

რომ სრულიად დამოკრი-
ლოს კაცი, თავის ნებაზე ატა-
როს და რაც უნდა, ის ჩადენინო-
სო. შესანიშნავი კიდევ რა არისო:—
შეიძლება ამ დროს აქ მესამე კაცი
დაესწროს და სრულიად კი ვერ შეამ-
ჩნიოს, რომ ჰიზოტობის ძალით და-
მორჩილებულს კაცს ბუნება რაშიმე
შეეცვალაო.
აი კიდევ ეს გარემოება დასაფიქ-
რებელი. ექვი არ არის, რომ ბერი
მოიპოვება იმისთანა კაცი, რომელიც
ამ საოცარ მონიჭებულ ძალას ცუ-
დის საქმეებისთვის მოიხმარებს და ამ
სახით ბოროტ-მოქმედება უფრო გად-
ვილდება და გავრცელდება. ესა ჰქო-
ნია სახეში პატივცემულს მსწავლულს,
როდესაც ჰიზოტობის გამოკვლევას
შესდგომია; ამავე განზრახვით დაუ-
ბეჭდია თავისი წიგნი. აეტარსა ჰსურს
საზოგადოება და მეტადრე სასამართ-
ლო გააფთხილოს, რადგანაც ადვი-
ლი მოსალოდნელია, რომ ჰიზოტო-
ბის შემწეობით კაცმა ათას გვარი
ბოროტ-მოქმედება და ავ-კაცობა ჩაი-
დინოსო.
საოცარი მავალითები მოჰყავს ავ-
ტორს თავის წიგნიში. აი სხვათა შო-
რის რას მოგვითხრობს:

რომელი დასი რას ეუბნება თავის ამომრჩეველებს და რას უპირდება...

რადგანაც ჩვენმა მკითხველებმა ეს ცოტად თუ ბევრად იციან ჩვენის ვაზეთიდან, ამიტომ საჭიროდ არ მიგვაჩნია განმეორებით ამ ვაზეთიდანაც კვლავ ამოვსწეროთ.

ბოლგარების მთავრის სიტყვას დიდი უნებურად მიაქციეს ყმაფის სახელმწიფოებრივად, ამბობს ვაზეთი „Сов. Ивнѣт.“ როგორ შექმნიდეს გერმანიასა და ინგლისში, არ ვიცით, რუსეთი და ავსტრია კი ძალიან უკმაყოფილონი დარჩნენ ამ სიტყვის გამოვლა.

ეს პირველი შემთხვევაა, ამბობს ვაზეთი, რომ ბოლგარების მთავარმა რუსეთს სრულიად არ მოიხსენიაო. წინადაკითხვა გაკეთდა, მაგრამ მანინ მადლობით მოიგონებდა ხოლმე რუსეთს, როგორც ბოლგარების განმთავისუფლებელსაო. ბოლგარების მთავარს უთქვამს თავის სიტყვაში, რომ შეროების საქმე ვაზეთის საქმეაო. საზოგადოდ სიტყვა, რომელიც მთავარმა ერის წარმომადგენლებს მიჰმართა, ისეთის ამაყოფით და თავის ქებით არის სასესე, რომ ბოლგარების განზრახვა აღარაფერსა თუ საიდუმლო არ არისო. როგორ შექმნიდეს დიდნი სახელმწიფოები თავისი მთავრის საქმეცაა, რას იტყვის რუსეთი? ხე თუ კიდევ ისეთ სულ-გრძელობას გამოიჩინოს, რომ ამ საქციელსაც აიჭიანოს?

ვაზ. «Nord»-ი პირდაპირ ამბობს, რომ რუსეთი მეტს ვეძარ დაუთმობს «ბოლგარების კოროლსა».

ამასვე ამბობს ვაზ. «Сов. Ивнѣт.» «Новое Время»-ც ამათ ბანს აძლევს და თავის მხრივ კიდევ უმატებს, რომ ამ ვაზარი საქციელი ბოლგარების მთავარს კეთილმდის არ მიიყვანსო.

ჩვენა გვეგონია, — ამბობს ვაზეთი, რომ თითონ ბოლგარები გონივრულად შექმნიდნენ საქმეს და მიჰხედებინან, რომ მთავარი ატყუებს მათ, თვალს უხვევს, როდესაც ეუბნება, რომ ბოლგარი სრულიად განთავისუფლებულია, და არ ატყუებინან მას, თუ თავის ქვეყნის ბედნიერება უსურობო ბოლგარები ეხლავე მიჰხედნენ, რომ ბატონურები იმის შემდეგ, რაც შარშან თავისი ახალ-გაზდა, განათლებულ, სრულ ჯანსა და გონებაზე მყოფს ქალზე ეს ძალა ემორქმებოდა და მთავარად ის აზრი, რომ ვითომ იმას ჩემი ასი თუმანი ემართოს. და აი აქ დამსწრე მოწმებთან, რომელთაც სრულიად არ იცოდნენ, რომ ეს ვალი განებებ ჰიმნოტობის ძალით მთავარგებულია და არა ნამდვილი, ამ ქალმა დაუყოვნებლივ იკისრა ეს ვალი, თავის საკუთარს ხელით დამიწერა თავისი და, გარდა ამისა, პირადაც ემთავებოდა, რომ მე შენი მოვალე ვარო. ესლა წარმოდგინეთ, რომ ამ ვაზარი საქმე სამართალში ჩავარდეს. რა ქნას საწყალობა ქალმა? უარი თქვას ვალზე, რომელიც მართლა არ აუღია, — მოწმებისა ემინიან: — ესენი გამტყუებენ, სიცრუეს შესწამებენ. იკისროს — და როგორ? ვალი ხომ მართლა არ აუღია! საქმე ის არის, რომ, რაკი ჰიმნოტობის ზედ-განვლენა თავდება, კაცს აღარ ახსოვს, რა საქმე ჩაიდინა ამ ძალის ზედ-მოქმედების დროს.

ავტორი კიდევ მეორე ამბავს მოგვითხრობს. რამდენსამე კაცს ერთად კიდევ იმავე ძალით მთავარგონე, რომ ვითომ ერთს მათ კარგს ნაცნობს კაცის-მკვლელობა მოეხდინოს, და მოგონილის მკვლელობის ვითომ გარემოებანი დაწერილობით ეუბნებენ. ამათაც ესევე დაწერილობით მიამბეს და ამასთან ისეთის დაბეჯითებით და დარწმუნებულნი ლაპარაკობდნენ, რომ ყველა ეს ამ გვართვე სასამართლოს წინაშე ეთქვათ, ცული საქმე მოუვიდოდა საწყალ დამნაშავეს, რომელიც ტყუილ-უბრალოდ ცილი შეესწამე.

ვის საქმეებით სახელი ვითქვამ, უფრო ხელს უშლის ვიდრე უშედეგო საქმეს ბოლგარები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათი საქმე ურუსეთით მოუხერხებელი და შეუძლებელია.

უცხოეთი

საზარანგითი. დღევანდელს მეთორს წერილში მოხსენიებულია, რომ მონაწილე ლეპუტატს და-შენის სიტყვა წარმოუთქვამს ლეპუტატთა ზღაპრში ფრენისის წინააღმდეგ ზრინტების განდევნის გამო. აი იგი სიტყვა:

„ჩემი საკუთარი გულის-თქმა, ჩემი საკუთარი აზრები რაც უნდა ძლიერ მომწოდნენ, მანინ მას უფრო მდლას ვაყუებ, რასაც თქვენ უნდა მისდევდეთ და ეტანებოდეთ. სფერანგეთმა აიტანა რევოლუციონა, სანგრძლივი წაუკრუკრუკობა მოსწონდა, ამან დაქალა და დაქანტა ქვეყანა. ამდენ უბედურების შემდეგ საფრანგეთს მოსვენება სწყურებდა. შატოლანის შატო-მოკვარება იქნებოდა, რომ დიხსუვლთ ზოლიტყურ მოღაწეთა დაუტყონ ყოველივე გულის-თქმანი, ყოველივე შუღლი და შესწირონ თავი სახელის საზოგადოების შექმნის საქმეს, რომელსაც სამიგვლად უნდა დაეძღვა არა წველი ნანგრევი წარსულისანი, არამედ ყველა, რაც კი დიდებულია, წარსულისგან ანდემად გადმოცემული და რაც ნაყოფიერია და მდლად მერმისის იდიაში (ისმის ზღაპრში დიდი ტამის-გემა). ეს ნატურა თქვენს შატო-მოკვარებას უნდა საზრდოებდეს და საქმურად მიანდეს. თქვენ შეგვძლავთ მიგნიტებისათ ამ ქვეყნისათვის იმდენი წესი და მსუაღბა შინა, იმდენი დიდება გარდა, რომ ჩვენა მამულის-შვილებმა, თქვენის კეთილის მოქმედებით მოხსობული, დაიფურება ყოველს დაზიანებს და იმედებს სსკა-დასსკა დასებისას და ამ გზით დამარტყულთა ახრთა ნუგებს უპოვებდა, სამომხლას დიდიას გავრკვირება (დიდი ტამის-გემა ზღაპრში)... აგერ უკვე ათი წელიწადია, რაც თქვენა ხართ გამგინი ქვეყნისანი, ყველა ჯდავი საზოგადოების სამსახურისა გიჭინავთ თქვენ, საზოგადოების განათლება თქვენ თქვენებურად

განაკეთეთ და ხალხი თაბა თქვენის სურვილისამებრ არის აღზრდილი. ყველა ეს სულთა გავით და მანინ უტრნობთ, რომ ქვეყანა თქვენის ხელიდამ მიდის. თქვენ შეიფრინებოდათ, თქვენ გემინანთ და აუცილებლად დასდგომისართ იმ გზას, რომელსაც გდის სოღმე ძალა-უნებურად ყველა სუსტი მთავრობა, იმ გზას, რომელსაც უფლებსა და სიმართლის მაკვარებას თვით-მხეობა-ბა ექვსა და ძალ-მომრება თავს ქმართ-ლულაბს იმითა, რომ სახელმწიფოს მდგომარება ამას ითხოვსო.

„თქვენი ანდრძი ფრუტადორია“), თქვენი თეორია — დაზღალების თეორიაა. დღეს თქვენ სდევით შირველ რიგის კაცებს. მე ვიფარავდი აქამდე ზრინტებს, მე შატოვის-ტემითა და სიყვარულით ვღაზნავდებოდა ზრინტებს; მაგრამ ახლა იმითვე აღარ ვზრუნავ; დღეს მე ვიცი ჩემს თავს, მე გიცივთ თქვენ, ყველას (ძლიერი ტამის-გემა). თუ ერთსეულ გიორგა კედელი, ყოველს ძალ-მომრებას საჯელი ვანი გაულება. თუ შეიძლება ზრინტი განიდევლოს, იმნატომ რომ ზრინტა, ჩქარა შეიძლება ძალ-მომრებით მოქმედო იმნატო ვინც იმითი შეგობანია, ან იმით წინააღმდეგ, რომელთა დანაშაული მსოფლიად ის არის, რომ ისინი თქვენი მეგობრები არ არიან. თქვენ სდევით ყოველსავე ვინც თქვენ ხელს გიშლით და გაიწროვებთ; ხვალ თქვენ დაუწევთ დევნას კომპიტეტებს, მწერლობას, კერძო დაზარაებს. ამ გზით გამარჯვებულს დასსკა ექვსა ნება სდევნოს თვისი მოწინააღმდეგენი. განა ვინ იქნება ხვალ გამარჯვებული და ვინ იქნება მოწინააღმდეგე? განა დღეს თუ ხვალ დამატებები არ ჩაიგდებენ ხელში საღას? ამას წინადაკითხვა უნდა დასაძლავო ზრინტების მამულების სასახლად ჩამორთმევას? მოგვეგონინა ბასლა იუსტიციის მინისტრის შემდეგ და ლითონისა სასახლად შეირიგება მამულისა. ამასვე ვერ იცინოდა ჩვენ. შემდეგ ბინტ სკა დაწვეს კომისიაში და არ ჩარჩვეს ეს აზრი. თქვენ გიდეგებ არ დაიშლით და ერთსეულს იქნება კვლავ გამოკიდებით ამ აზრს

*) ფრუტადორი სახელწოდება დროებითა აგვისტოს 18-იან 16 სექტემბრამდე, როცა 1797 წელს ფრუტადორიამ დაიფარა რესპუბლიკა როიალიტების აფანეებისაგან.

ნამ ქმარი წყალს ჰსომდა, ცოლი ყურადღებულ ვადიქა და ქმარს თვალს არ აშორდა თურმე. ვათავა თუ არა სმა აა ქიქა პირიდან მოიხსნა, ქალმა ისეთი საშინელი ხარხარი დაიწყო, რომ ყველა იქ დამსწრე შეგვზარაო, ამბობს ლიეფუა. ეს ხარხარი იმ ხარხარის ნიშანი იყო, რომ ქალი ულ-დაჯვრებული იყო, ვითომ საწარავი უთუოდ გასკრის და ქმარი კვდილს ვერ გადურჩებოდა.

ესეთი ძალა იმე ჰიმნოტობამ!

საოცარს მოდიცატი, როცა აღამინის ბუნებას უარდება. ამბობენ, კაცს განათლება ასობებს, აპატოლს ნებსო. გერწამს, მამამ საწმუნარო ის არის, რომ განათლებს ხშირად ისე მიადგება ხოლმე კაცს, როგორც ცერცი კვდილსა. ჩამოაცით ამ გვარ კაცს ის ოქროს ვარაყი, რომლითაც იგი განათლებას დაუფლა, და თვალ-წინ ისეთი არსება წარჩიდებოდა, რომ ძალა-უნებურად ჰს მიატყვეთ და შორს გაუდგებოდა. ილის წამებას, შურის-ძიებას, მტრას ესეთი კაცი ცხვირ-სახოცსაგითაზნარობს: როცა არ უნდა, ჯიბე აქვს შენახუ-

სა. აი გზა, რომელსაც ამ 15 დღეს თქვენ გეტყობთ. რაკი თქნი შესდგით ამ გვარ გზასზე, შენებრება შეუძლებელია; როცა დაწმუნდებინ, რომ ზრინტების განდევნა საკმარისი არ არის, რომ მონაწილენი დასნი კიდევ არსებობენ, თქვენ წართმევთ უკანასკნელს სასახლას ცხოვრებისას. ხვალ შესდგებით მერე ამ გზასზე? განა მუნდინაზღური საბჭო, რომელიც ზღაპრის წინ უსწრებს, არ ითხოვდა მამულების სასახლად შეირიგებას და საწმუნარობას? განა ამ დღეებში აი აქ, ჩვენ შორის, არ სწყურებდა, რომ 1797 წელს საკმაოდ ბევრს ვერ მოქმედებთ თავებზე...“

ბამარია. როცა თურქელების გამოსიამ გამოაცხადა, რომ ბავარიის კოროლი ლუდვიგი II ჰკურსეა შემდარი და მის მაკვარ სახელმწიფოს გამგებულ რეკეტად დანიშნა ზრინტი ლეიტნოლდი, კოროლმა ასეთი შროკლამაცია დასწერა თურმე: „მე, ლუდვიგი II, კოროლი ბავარიისა იმულეული ვარ მიკმაროთ ჩემს საყვარელს ბავარიის საღასსა და სრულიად ნემენტების ერს. ზრინტა ლეიტნოლდმა უხეოდ განიხრასა და რეკეტად გამოაცხადა თავისი თავი და ჩემს სამინისტრამ, ტუელიად დამწამა რა ავად-მყოფობა, მოატყუა ჩემ-მიერ შეუვარებული საღასი და ჰსურს რომ შესრულდეს თავისი ბოროტი განზრახვა. მე სრულიად გარგადა ვარ სულითაც და სოცითაც, როგორც ყოველი სსკა სელმწიფე. სამინისტრამ ისე უტრად მიღაღატა, რომ დრო აღარა შეინდა წინააღმდეგობა რამ გამეწია. თუ განზრახული ძალ-მომრება შესრულდა და ზრინტმა ლეიტნოლდმა ძალ-მომრებით ხელში ჩაივლო ქვეყნის გამგება, მე ვთხოვ ჩემს ერთგულს მეგობრებს, ყოველს დანის-ძიებით დაიგვან და დაიფარონ ჩემი უფლებანი. ჩემს სასახლას გამარტ ბავარიის ერთგულს მოსეკეპსე და, განსაკუთრებით, იმედი მაქვს თითოეულის შატოლანის ბავარიის აფინისა და გულადის საღდათისა. ესენი განისხეებენ, რომ ჩემთვის იფინი აქვთ მოცემული, არ მიღაღატებენ მე და შეიქვეყნან ბოროტ-განზრახვლათა დასამიერებლად. მე ყოველთვის დასწლოვებული ვიყავ ჩემ მიერ შეყვარებულ საღასთან და

ლი, როცა უნდა — ჯიბიდან ამოიღებს. ამისი მავალითები ბევრია, — მე მხოლოდ ერთს მოგითხრობთ: პარიჭში სცხოვრებს ერთი გამოჩენილი კაცი. ამ კაცს ისეთი ღვაწლი მიუძღვის მთელის კაცობრიობის წინაშე, რომ მისი სახელი საუკუნოდ დაუფიყარი იქნება. ეს ის კაცია, რომელმაც სამკურნალო წამალი აღმოაჩინა და კაცობრიობა იხსნა იმ საშინელის სენისაგან, რომელსაც ცოფი ჰქვია. ამ კაცის სახელი ცნლა მთელს ქვეყანას პირზე აკვრია და ყველა მოწმეებით იხსენიებს. ეს კაცი — პასტერი.

ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ იგი დამისხნის ღვატისაგან. მე მივამრთავ აკრთვე სრულიად ნემენტებს და მოკავშირე სელმწიფეთა. მე კსციდილობი შეიღებინა-მებრ გემანის იმპერიის აღმოსავლეთისა და ამიტომ კვადნიერდები და ვიმედოვნებ, რომ ნემენტებსა ერთი არ მოითმენს და ღვატის შემწეობით ტახტიდამ არ გადაყენებინებს ერთს გერმანიის სელმწიფეთაგანს. თუ დრო არ მოქმება გერმანიის იმპერატორს მიემართო შეწყობისათვის, დაწმუნებული ვარ, იმის ნება მანინ მიქმნება, რომ მოღაღატე ჩემის ქვეყნის სამართალს მიესცე. ჩემი გულადნი და ერთგულნი ბავარულნი არ დამტოვებენ მე და უკეთუ ძალ-მომრებას ხაღას შემიღოს და ჩემს უფლებას კვლავ აღვადგენ, იქნება ამ ჩემსა შროკლამაციამ ერთად შეაერთოს ყველა ჩემი მომსრე ერთგული ბავარული და არ შეაწინაროს, რომ ღვატე მოსდეს კოროლისა და სამომხლას წინაშე. აღიწერა ჰოკენშტანგუს, 9, აგისის 1886 წელს. ლუდვიგი II, კოროლი ბავარიისა.

ვახარობა

საშინელი საკვდილი კბილის ექიმინა. გიორგი ბოლდელი, კბილის ექიმი, ფრანგულიდან ამერიკაში გადასახლდა თავის მშობლებით 1861 წელს და ამ ახლო ხანებში იქ საზარელის სიკვდილი მოკვდა. ცირკმა, რომელიც ბოლდელში იყო გამართული, ერთს უმშვენიერესს ლომს კბილი ასტივდა და იმ გვარად დაუსიდა, რომ დარბობას უწაიდა. ცირკის პატრონმა მოიწვია ბოლდელი და ერთი კიდევ სხვა ექიმი, რომელიც რჩევის შემდეგ გარდასწრებულს, რომ ლომს მტყვივარი კბილი უნდა ამოეცადა. ამ აზრით შეგოჭის დომი და ხელოვნურად გაეფხუბულის იარაღით პირი დააღებინეს. გასაფხინებელი ლომი მიიღეს და შემდეგ, ბოლდელი შევიდა ყაფაში ლომთან და მიჰყო ხელი კბილის ამოღებას. როდესაც კბილი მოძრაობა დაიწყო, ტყვივლისაგან გამწარებული ლომმა თოკებს დაწვეჭა შეიძლოდა და თვალის დახმამების უმალ დედა-მიწაზე დასცა ბოლდელი. მხეცთა დამამშვიდებელმა თოფი ესროლა ლომს, მაგრამ ამით უფრო გაამძინა ვარ ისე, რომ საზარლო კბილის ექიმი სულ ნაფურ-ნაფურად დაგვიღია. ბოლოს რის წვადებით მოკვდეს ლომიც, მაგრამ გვიან-ით ცოფით ავად-მყოფებს არჩენს. — ჩვენ ასე გვეგონია, მაგრამ ასე არ ფიქრობს «უცვადე» მეცნიერი და ექიმი: — პასტერი უმეცარია, სამკურნალო მეცნიერებისა არა ესმის რაო; პასტერი არამც თუ არჩენს ცოფსა, პირ-იქით სრულიად კარგად-მყოფსაც კი ცოფით ახნეულებსო, პასტერი განებებ ხალხს ატყუებს, ქალები ხომ სულ გადარიაო; ამასთან ბრიყვი და უზრდელიაო. — ქალებს მუცელზე უტრის ცოფსა და არა მკლავზეო, პატარა ყმაწვილების ცოფის აცრა ხომ შეუძლებელი დანაშაულობააო; — აი ის ბრალ-მდებელი ოქმი, რომელიც „უცვადემა“ ექიმმა თავის „უცვადე თანამომცით“ წარუღებინა პასტერის წინააღმდეგ.

დომ-იგო

